ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელში

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია 2021 წელს სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებდა მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტისა და სახელმწიფო შესყიდვების 2021 წლის გეგმის შესაბამისად.

2020 წლის 20 ნოემბრამდე შემუშავებულ იქნა 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. განთავსებულ იქნა ელექტრონულ სისტემაში. გეგმაში ასახული იყო ყველა ის ხარჯი, რომელსაც ითვალისწინებდა 2021 წლის ბიუჯეტი და შესყიდვის განხორციელება ექვემდებარებოდა საქართველოს კანონს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

ყველა შესასყიდი საქონელი, მომსახურეობა და სამუშაო გაწერილი იქნა კოდების მიხედვით დადგინდა შესყიდვების განხორციელების ფორმები მონეტარული ზღვრების შესაბამისად სამსახური შესყიდვების განხორციელების დროს ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ყველა რეკომენდაციას, ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებებს განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ.

სამსახური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს განუხრელად იცავდა სახელმწიფო შესყიდვების ძირითად პრინციპებს, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას, არა დისკრიმინაციულ მიდგომას, კონკურენტული გარემოს შექმნას და საჯაროობას.

სახელმწიფო შესყიდვეის გეგმაში ცვლილებები ხორციელდებოდა ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და მერის ბრძანებით თანხების გამოყოფის შესაბამისად.

2021 წელში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებულია 644333.82 ლარის შესყიდვა, გაფორმებულია 107 ხელშეკრულება.

სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით ბოლო დაზუსტებით გამოყოფილი იქნა 4751621 (ოთხიმილიონ შვიდასორმოცდათერთმეტიათასექვსასოცდაერთი) ლარი. გაფორმდა 21 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებით გამოყოფილი იქნა 830000 (რვაასოცდაათიათასი) ლარი. გაფორმდა 16 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით (გრანტი) 2021 წელში გამოყოფილი იქნა 1098290 (ერთიმილიონ ოთხმოცდათვრამეტიათას ორასოთხმოცდაათი) ლარი. გაფორმდა 2 გარდამავალი (ორწლიანი) ხელშეკრულება. საერთო

სატენდერო ღირებულება შეადგენდა 2694509 (ორიმილიონ ექვსასოთხმოცდათოთხმეტიათასხუთასცხრა) ლარს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 ივლისის N1267 განკარგულებით (2020 წლიდან გადმოსული განკარგულებების ნარჩენი თანხებით დაფინასებული პროექტები) განხორციელდა ერთი შესყიდვა. გაფორმდა 1 ხელშეკრულება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის და სოფ. ხიდისთავის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაციისათვის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 და 2021 წლის 04 თებერვლის N147 განკარგულებებით გამოყოფილი 706309 ლარით, განხორციელებული იქნა 3 შესყიდვა, შესაბამისად გაფორმებულია 3 ხელშეკრულება.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტით 2021 წელში გამოყოფილი იქნა 46160 ლარი, გაფორმდა 1 გარდამავალი (ორწლიანი) ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებით განმოყოფილი იქნა 730000 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხებით შესყიდვა განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად. მერიის მიერ ჩატარებულ იქნა სოფლებში კრებები, ჩამოყალიბდა პრიორიტეტები განსახორციელებელი პროექტების შესაბამისად . ჩატარდა მიმწოდებელთა ბაზრის ელექტრონული მოკვლევა, შესყიდვა განხორციელდა ძირითადი პრინციპების დაცვით. შემუშავებული იქნა ბაზრის მოკვლევის ელექტრონული წესი, რომელიც გამოქვეყნებული იქნა ინფორმაციის წყაროში და საჯარო იყო ყველა დაინტერესებული პირისათვის. დაცული იქნა საჯაროობა, არადისკრიმინაციული მიდგომა და რაციონალური ხარჯვა.

შესყიდვაში ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია დაეგზავნა 1 ლოტზე არანაკლებ 3 მიმწოდებლის სულ 90 მიმწოდებელს. დამუშავდა, დაიგზავნა და სისტემაში აიტვირთა 14000 ფურცელზე მეტი დოკუმენტაცია. სისტემაში განთავსებული დოკუმენტაცია წარმოადგინა 45 მიმწოდებლმა. აქედან ხელშეკრულება გაფორმდა ბაზრის მოკვლევაში გამარჯვებულ 30 მიმწოდებელთან. ბაზრის მოკვლევის შედეგად მიღებული იქნა ეკონომია - 109040 ლარი.

ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული ეკონომიით, სოფლების მიხედვით შესრულდა დამატებითი სამუშაოები. გაფორმდა 16 ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 92569 (ოთხმოცდათორმეტიათასხუთასსამოცდაცხრა) ლარი. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სულ გაფორმდა 46 ხელშეკრულება, თანხით 712974,27 (შვიდასთორმეტიათასცხრაასსამოცდათოთხმეტი ლარი და 27 თეთრი) ლარი.

განკარგულებების მიხედვით სულ 2021 წელში გაფორმებულ იქნა 89 ხელშეკრულება. გამარტივებული შესყიდვით 111 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით - 9 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით - 77 ხელშეკრულება.

2021 წელში სულ ჩატარებულ იქნა 84 ელ. ტენდერი, მათ შორის არ შედგა 2, უარყოფითი შედეგით დასრულდა 1, შეწყვეტილია 2 ელ ტენდერი. ტენდერში მონაწილეთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა 2,71 მონაწილე.

ელექტრონული ტენდერებით შესყიდვების განხორციელების მიზნით მერის ბრძანებით შექმნილი იყო სატენდერო კომისია 5 კაცის შემადგენლობით და სატენდერო კომისიის აპარატი 3 კაცის შემადგენლობით. სულ ჩატარებული იქნა 72 კომისიის სხდომა განხილულ იქნა 181 საკითხი. კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრდა 3 ტენდერი აქედან ერთი საჩივარი სააგენტომ სრულად დააკმაყოფილა (ფარცხმაში საავტომობილო გზის მოწყობის სამუსაოები), მე-2 ტენდერში საჩივარი არ დაკმაყოფილდა (სოფ. კოხნარი-საწამიასერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია), მე-3-ე ტენდერში საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (სოფ.ქვაბღაში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა) კომისიამ განიხილა საბჭოს გადაწყვეტილება და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დატოვა ძალაში, რაც შემდეგ გაგრძელება არ მოყოლია.

დადებული ხელშეკრულებების ინსპექტირებას აწარმოებს მერის ბრძანებით დანიშნული ინსპექტირების კომისია 5 კაცის შემადგენლობით. ინსპექტირების კომისია სახელმწიფო „ შესყიდვების შესახებ“ კანონის და დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად ამოწმებდა შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურეობის შესრულებას და მიღება ჩაბარების გაფორმებას.

ყველა შესრულებულ სამუშაოზე ჩატარებულია ექსპერტიზა შედგენილია საექსპერტო დასკვნები. ექსპერტიზის დასკვნები აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციების მიერ. ყველა სამუშაოს, რომლის სახელშეკრულებო ფასი არის 50000 ლარზე ზევით ზედამხედველობას უწევდა ტენდერში გამარჯვებული საზედამხედველო ორგანიზაცია შ.პ.ს „ზაისი და კომპანია“.

ინსპექტირების ჯგუფმა 2021 წელში საჯარიმო სანქციები დაუწესა 12 მიმწოდებელს. პირგასამტეხლოს თანხამ შეადგინა 10371,42 ლარი. შავ სიაში იქნა განთავსებული 2 მიმწოდებელი.

ყოველი შესყიდვის განხორციელების წინ ხდება ბაზრის კვლევების ჩატარება საქონელზე, სამუშაოზე და მომსახურეობაზე. ყოველივე ეს მოითხოვს დიდი მოცულობის დოკუმენტაციის მოძიებას, დამუშავებას და სისტემაში განთავსებას. აღნიშნული დოკუმენტაციეის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა 2020 წელთან შედარებით. არაფერს ვამბობთ 2018 და 2019 წლებთან მიმართებაში. სამსახური აღნიშნული სამუშაოების შესრულებას უმკლავდება არასამუშაო დროის გამოყენების ხარჯზე. მუნიციპალური შესყიდვების სამსახური ყველა სამუშაოს ასრულებს 5 კაცის შემადგენლობით: 1 სამსახურის უფროსი , 2 შესყიდვების სპეციალისტი და 2 ტექნიკური მუშაკი. სამსახური აღნიშნული შემადგენლობით უზრუნველყოფს ყველა მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას და მერიისა და საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

სამსახურის სპეციალისეტები მერის ბრძანების საფუძველზე მონაწილეობას ღებულობენ შექმნილი კომისიების მუშაობაში. სამსახური რეკომენდაციებს აძლევს და კონსულტაციებს უწევს მერიის მიერ შექმნილ ა(ა)იპ-ებს და სხვა ორგანიზაციებს საჭიროების შემთხვევაში. სამსახურის მიერ არა ერთი კონსულტაცია და რეკომენდაცია მიეცა 2021 წელს. ინსპექტირების ჯგუფისათვის ხელშეკრულების კორექტირებებისა და შესრულების ვადების ცვლილებებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიცია ამ კუთხით მათვის ცნობილია. სამსახური რეგულარულად აკვირდება მიწოდების ბაზარზე მიმწოდებლების ოპერირებას, რადგან სატენდერო კომისიას გაუწიოს საჭირო კონსულტაციები. 2021 წელში განხორციელებული შესყიდვების დროს სატენდერო კომისიის ოქმებიდან გამომდინარე არის შემთხვევები, როდესაც გამარჯვებული ორგანიზაციები არ ტვირთავენ მოთხოვნილ დოკუმენტაციას ღებულობენ დისკვალიფიკაციას და ტენდერით მიღებული სავარაუდო ეფექტიანობა მცირდება და რიგ შემთხვევებში დადის 0-მდე, რაც ამცირებს ტენდერებით მისაღებ ეფექტურობას.

სამსახური აქტიურად მონაწილეობს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ და რეკომენდაციების დახვეწვის კუთხით. ჩვენ ჩვენს მოსაზრებებს ვუზიარებთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და აგრეთვე ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

მიმდინარე წელს სამსახური გეგმავს წარმოადგინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „შავი სიის“ წარმოებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე თავისი მოსაზრებები და არგუმენტები, თუ როგორ მოხდება მისი გათვალისწინება ეს შემდგომი საკითხია. სამსახური თავისი მუშაობის ამსახველ ყველა დოკუმენტაციას ათავსებს ელექტრონულ სისტემაში, რაც ყველასათვის ხელმისაწვდომია, ასევე ვთანამშრომლობთ საკრებულოს ყველა კომისიასთან, ფრაქციასთან და თითეულ დეპუტატთან. არ ყოფილა შემთხვევა ჩვენი სამსახურისათვის ვინმეს მიემართოს არ მიიღოს დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხები. მე წარმოგიდგენთ 2021 წელში მუნიციპალიტეტში განხორციელებულ შესყიდვის შესახებ მოკლე ინფორმაციას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ გოგიბერიძე